ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №568512

ნომერი: AR1111316

თარიღი : 21.02.2013

გაცემის თარიღი : 01.03.2013

გაცნობის თარიღი : 02.03.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 106 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბიშოი ვასსეფ კოზმან მოუსა --- პ/ნ 01191001122
- თბილისი კ.მარჯანიშვილის ქ. N 16 ბ. 28

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს - გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ”ბ” ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ”ა” ქვეპუნქტის შესაბამისად განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, დავით აღმაშენებელის გამზ. #106–ში (უძრავი ძეგლი) არსებულ შენობაზე ძველი სარეკლამო აბრის ახლით შეცვლის საკითხს, განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს - გაერთიანებულ სამეცნიერო- მეთოდურ საბჭოს, რომლის დასკვნის საფუძველზეც მოქ. ბიშოი ვასსეფ კოზმან მოუსას უარი ეთქვა წარმოდგენილ საპროექტო წინადადებას რეკომენდაციით: "წარმოდგენილი იქნეს სხვა დიზაინისა და სხვა ფერის

სარეკლამო აბრა " (ოქმი #8, 26.02.2013წ.). სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია რომ განმცხადებელს, მოქ. ბიშოი ვასსეფ კოზმან მოუსას უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქ. ბიშოი ვასსეფ კოზმან მოუსას წარმოდგენილი პროექტის შეთანხმების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.